საბჭოთა კავშირის მარშალ ა. ა. გრეჩკოს წიგნი „ბრძოლა კავკასიისათვის“[2] დაწერილებითი სამხედრო-ისტორიული მონოგრაფიაა. იგი მოიცავს ჯერ კავკასიის უშუალო მისადგომებზე, შემდეგ კი თვით მის ტერიტორიაზე წარმოებული სახმრთლო მოქმედების თხუთმეტი თვის პერიოდს, დაწყებული გერმანელ ფაშისტთა ჯარების დონისა და უუბანის ველებზე შეჭრით (1942 წლის ივლისი) და დამთავრებული მტრის განადგურებით ტამანის ნახევარკუნძულზე და მისი სრული განდევნით კავკასიის ფარგლებიდან (1943 წლის ოქტომბერი). დროის ეს დიდი მონაკვეთი მოიცავს მთავარ ამბავს, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს მიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის მსვლელობასა და დაბოლოებაზე. კავკასიისათვის ბრძოლა, რაც დაიწყო იმ მომენტში, როცა ინიციატივა ჯერ კიდევ მოწინააღმდეგის ხელში იყო, რომელშაც მომაკვდინებელი საფრთხე შეუქმნა ჩვენს ქვეყანას, დამთავრდა იმ დღეებში, როცა ძირეული გარდატეხა მოხდა საბჭოთა არმიისა და მთელი ანტიჰიტლერული კოალიციის სასარგებლოდ.

უდიდეს სივრცეზე გაშლილი ბრძოლა, მასში ორივე მხარის დიდი ძალების მონაწილეობა, საბჭოთა რესპუბლიკების მომძე ხალხთა მეგობრობა, რომელმაც მკაცრ განსაცდელს გაუძლო, და, ბოლოს, ჰიტლერის იმ გეგმების ჩაფუშვა, რომ ხელი ეგდო სსრ კავშირის ნავთობის სიმდიდრეზე და შემდგომ განვითარებინა ფაშისტური აგრესია აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში — ყოველივე ეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კავკასიაში ჩვენს გამარჯვებას, რომელიც ერთ-ერთი თვალსაჩინო რგოლი იყო მოპოვებულ გამარჯვებათა საერთო წყებაში, რომლებმაც საბჭოთა არმია საბოლოო ანგარიშით რაიხსტაგის კედლებამდე მიიყვანეს. კავკასიისათვის ბრძოლის მნიშვნელობა, მისი განუწყვეტელი კავშირი საერთოდ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ბრძოლასთან და, კერძოდ, სტალინგრადთან ბრძოლასთან, რომლითაც დაიწყო პერიოდი საბჭოთა არმიის გადამწყვეტი და ძლევამოსილი შეტევითი ოპერაციებისა და ჩვენი ქვეყნიდან გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა მასობრივი განდევნისა, კარგად და სრულად ნაჩვენებია სარეცენზიო მონოგრაფიაში.

წიგნის ავტორი ერთ-ერთი ხელმძღვანელი მონაწილე იყო კავკასიისათვის ბრძოლისადმი მიძღვნილი უფრო ადრე გამოცემული ნაშრომებისაგან იგი მისდა სასარგებლოდ გამოიჩრევა გამოყენებული დოკუმენტაციის სიმდიდრით, ამბების ანალიზის დეტალურობითა და სიღრმით. ეს შრომა ძვირფასი წყარო იქნება ყველასათვის, ვინც მომავალში კიდევ არაერთხელ დაუბრუნდება კავკასიაში საბჭოთა არმიის 1942-1943 წლების თავდაცვითი და შეტევითი მოქმედების გამოკვლევას.

სხვა ხასიათისაა დანარჩენი სარეცენზიო წიგნები. ისინი ეკუთვნიან ეკუთვნიან მემუარებს, თუმცა მათ შორისაც არის არსებითი განსხვავებანი.

კ. ა. მერეცკოვი მკითხველს აცნობს თავის თითქმის მთელ ცხოვრების გზას — ბავშვის თხუთმეტი წლის ბიჭით, ზეინკლის შეგირდით დაწყებული და საბჭოთა კავშირის მარშლით დამთავრებული, ეხება, რომელიც დიდი სამამულო ომი მოითავა იმით, რომ როგორც შორეული აღმოსავლეთის 1-ლი ფრონტის სარდალი მონაწილეობდა იაპონიის კვანტუნის არმიის დიდი ძალების განადგურებაში[1]. კ. ა. მერეცკოვის მოგონაცა საინტერესოა უწინარეს ყოვლისა იმით, რომ იგი ძალიან ტიპიურია: რევოლუციისა ახალგაზრდა მუშა-კომუნისტს გზავნის ნიოლელლიანების გადალახვა და სხვ.

ა. ა. გრეჩკოს წიგნი მნიშვნელოვანი წვლილია სამხედრო-ისტორიულ ლიტერატურაში. კავკასიისათვის ბრძოლისადმი მიძღვნილი უფრო ადრე გამოცემული ნაშრომებისაგან იგი მისდა სასარგებლოდ გამოირჩევა გამოყენებული დოკუმენტაციის სიმდიდრით, ამბების ანალიზის დეტალურობითა და სიღრმით. ეს შრომა ძვირფასი წყარო იქნება ყველასათვის, ვინც მომავალში კიდევ არაერთხელ დაუბრუნდება კავკასიაში საბჭოთა არმიის 1942-1943 წლების თავდაცვითი და შეტევითი მოქმედების გამოკვლევას.

სხვა ხასიათისაა დანარჩენი სარეცენზიო წიგნები. ისინი ეკუთვნიან მემუარებს, თუმცა მათ შორისაც არის არსებითი განსხვავებანი.

კ. ა. მერეცკოვი მკითხველს აცნობს თავის თითქმის მთელ ცხოვრების გზას — ბავშვის თხუთმეტი წლის ბიჭით, ზეინკლის შეგირდით დაწყებული და საბჭოთა კავშირის მარშლით დამთავრებული, ეხება, რომელიც დიდი სამამულო ომი მოითავა იმით, რომ როგორც შორეული აღმოსავლეთის 1-ლი ფრონტის სარდალი მონაწილეობდა იაპონიის კვანტუნის არმიის დიდი ძალების განადგურებაში[1]. კ. ა. მერეცკოვის მოგონაცა საინტერესოა უწინარეს ყოვლისა იმით, რომ იგი ძალიან ტიპიურია: რევოლუციისა ახალგაზრდა მუშა-კომუნისტს გზავნის ნიოლელლიანების გადალახვა და სხვ.

ა. ა. გრეჩკოს წიგნი მნიშვნელოვანი წვლილია სამხედრო-ისტორიულ ლიტერატურაში. კავკასიისათვის ბრძოლისადმი მიძღვნილი უფრო ადრე გამოცემული ნაშრომებისაგან იგი მისდა სასარგებლოდ გამოირჩევა გამოყენებული დოკუმენტაციის სიმდიდრით, ამბების ანალიზის დეტალურობითა და სიღრმით. ეს შრომა ძვირფასი წყარო იქნება ყველასათვის, ვინც მომავალში კიდევ არაერთხელ დაუბრუნდება კავკასიაში საბჭოთა არმიის 1942-1943 წლების თავდაცვითი და შეტევითი მოქმედების გამოკვლევას.

სხვა ხასიათისაა დანარჩენი სარეცენზიო წიგნები. ისინი ეკუთვნიან მემუარებს, თუმცა მათ შორისაც არის არსებითი განსხვავებანი.

კ. ა. მერეცკოვი მკითხველს აცნობს თავის თითქმის მთელ ცხოვრების გზას — ბავშვის თხუთმეტი წლის ბიჭით, ზეინკლის შეგირდით დაწყებული და საბჭოთა კავშირის მარშლით დამთავრებული, ეხება, რომელიც დიდი სამამულო ომი მოითავა იმით, რომ როგორც შორეული აღმოსავლეთის 1-ლი ფრონტის სარდალი მონაწილეობდა იაპონიის კვანტუნის არმიის დიდი ძალების განადგურებაში[1]. კ. ა. მერეცკოვის მოგონაცა საინტერესოა უწინარეს ყოვლისა იმით, რომ იგი ძალიან ტიპიურია: რევოლუციისა ახალგაზრდა მუშა-კომუნისტს გზავნის ნიოლელლიანების გადალახვა და სხვ.

ა. ა. გრეჩკოს წიგნი მნიშვნელოვანი წვლილია სამხედრო-ისტორიულ ლიტერატურაში. კავკასიისათვის ბრძოლისადმი მიძღვნილი უფრო ადრე გამოცემული ნაშრომებისაგან იგი მისდა სასარგებლოდ გამოირჩევა გამოყენებული დოკუმენტაციის სიმდიდრით, ამბების ანალიზის დეტალურობითა და სიღრმით. ეს შრომა ძვირფასი წყარო იქნება ყველასათვის, ვინც მომავალში კიდევ არაერთხელ დაუბრუნდება კავკასიაში საბჭოთა არმიის 1942-1943 წლების თავდაცვითი და შეტევითი მოქმედების გამოკვლევას.

სხვა ხასიათისაა დანარჩენი სარეცენზიო წიგნები. ისინი ეკუთვნიან მემუარებს, თუმცა მათ შორისაც არის არსებითი განსხვავებანი.

კ. ა. მერეცკოვი მკითხველს აცნობს თავის თითქმის მთელ ცხოვრების გზას — ბავშვის თხუთმეტი წლის ბიჭით, ზეინკლის შეგირდით დაწყებული და საბჭოთა კავშირის მარშლით დამთავრებული, ეხება, რომელიც დიდი სამამულო ომი მოითავა იმით, რომ როგორც შორეული აღმოსავლეთის 1-ლი ფრონტის სარდალი მონაწილეობდა იაპონიის კვანტუნის არმიის დიდი ძალების განადგურებაში[1]. კ. ა. მერეცკოვის მოგონაცა საინტერესოა უწინარეს ყოვლისა იმით, რომ იგი ძალიან ტიპიურია: რევოლუციისა ახალგაზრდა მუშა-კომუნისტს გზავნის ნიოლელლიანების გადალახვა და სხვ.

ა. ა. გრეჩკოს წიგნი მნიშვნელოვანი წვლილია სამხედრო-ისტორიულ ლიტერატურაში. კავკასიისათვის ბრძოლისადმი მიძღვნილი უფრო ადრე გამოცემული ნაშრომებისაგან იგი მისდა სასარგებლოდ გამოირჩევა გამოყენებული დოკუმენტაციის სიმდიდრით, ამბების ანალიზის დეტალურობითა და სიღრმით. ეს შრომა ძვირფასი წყარო იქნება ყველასათვის, ვინც მომავალში კიდევ არაერთხელ დაუბრუნდება კავკასიაში საბჭოთა არმიის 1942-1943 წლების თავდაცვითი და შეტევითი მოქმედების გამოკვლევას.

სხვა ხასიათისაა დანარჩენი სარეცენზიო წიგნები. ისინი ეკუთვნიან მემუარებს, თუმცა მათ შორისაც არის არსებითი განსხვავებანი.

კ. ა. მერეცკოვი მკითხველს აცნობს თავის თითქმის მთელ ცხოვრების გზას — ბავშვის თხუთმეტი წლის ბიჭით, ზეინკლის შეგირდით დაწყებული და საბჭოთა კავშირის მარშლით დამთავრებული, ეხება, რომელიც დიდი სამამულო ომი მოითავა იმით, რომ როგორც შორეული აღმოსავლეთის 1-ლი ფრონტის სარდალი მონაწილეობდა იაპონიის კვანტუნის არმიის დიდი ძალების განადგურებაში[1]. კ. ა. მერეცკოვის მოგონაცა საინტერესოა უწინარეს ყოვლისა იმით, რომ იგი ძალიან ტიპიურია: რევოლუციისა ახალგაზრდა მუშა-კომუნისტს გზავნის ნიოლელლიანების გადალახვა და სხვ.

ა. ა. გრეჩკოს წიგნი მნიშვნელოვანი წვლილია სამხედრო-ისტორიულ ლიტერატურაში. კავკასიისათვის ბრძოლისადმი მიძღვნილი უფრო ადრე გამოცემული ნაშრომებისაგან იგი მისდა სასარგებლოდ გამოირჩევა გამოყენებული დოკუმენტაციის სიმდიდრით, ამბების ანალიზის დეტალურობითა და სიღრმით. ეს შრომა ძვირფასი წყარო იქნება ყველასათვის, ვინც მომავალში კიდევ არაერთხელ დაუბრუნდება კავკასიაში საბჭოთა არმიის 1942-1943 წლების თავდაცვითი და შეტევითი მოქმედების გამოკვლევას.

---

[1] ᲙᲐ. Ა. ᲛᲔᲠᲔᲪᲙᲝᲕᲘ. ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ. მოგონებანი. მ., პოლიტგამმიცემლობა, 1968. 464 გვ. (საბჭოთა კავშირის მარშალ ა. მ. ᲕᲐᲡᲘᲚᲔᲕᲡᲙᲘᲡ წინასიტყვაობით).

[1] ᲙᲐ. Ა. ᲛᲔᲠᲔᲪᲙᲝᲕᲘ. ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ. მოგონებანი. მ., სამხედრო გამომცემლობა, 1968. 384 გვ. (სერია „სამხედრო მემუარები“).

[1] ᲙᲐ. Ა. ᲠᲝᲙᲝᲡᲝᲕᲡᲙᲘ. ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲣᲚᲘ ᲕᲐᲚᲘ. მ., სამხედრო გამომცემლობა, 1968. 384 გვ. (სერია „სამხედრო მემუარები“).

[1] ᲗᲘᲛᲝᲗᲔᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲛᲘᲜᲐᲠᲬᲛᲝᲑᲐ. მ., სამხედრო გამომცემლობა, 1968. 416 გვ. (სერია „სამხედრო მემუარები“).

დიდი სამამულო ომის მაჯიანის ამაღელვებელი ფურცლები

(დასასრული)

რიგი, რომელიც ი. ბ. სტალინმა დაადგინა და რომელსაც უცვლელად იცავდნენ, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტისა და მთავარსარდალის წევრების, გენერალური შტაბის ხელმძღვანელების, სამხედრო უწყების ორგანოებისა და ფრონტებისა და ფლოტების სარდლობის მიერ საკითხების წინასწარ განხილვის შეხამება მტკიცე გადაწყვეტილებებთან. რომლებსაც ერთპიროვნულად იღებდა უმაღლესი მთავარსარდალი. ეს წესი ფრიად საგულისხმოა, და წიგნის ავტორის მიერ მისი გახსნა დიდი სამამულო ომის ისტორიის ბევრ მკვლევარს დაეხმარება სწორად შეიფასოს უმაღლესი მთავარსარდლობის როლი გამარჯვების მოპოვებაში.

მკითხველი დიდი ინტერესით ეცნობა წიგნის უკანასკნელ თავს „გამარჯვებულებსა და გმირებს". მასში მოთხრობილია, თუ როგორ აჯილდოებდნენ მეომართაგან ყველაზე ღირსეულთ, გადმოცემულია ისტორია ძლევის ბრძანებებისა და სალუტებისა, რომლებიც ესოდენ მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენს ყოფაში, გამარჯვებულთა პარადისა და კრემლის დიდ სასახლეში მიღების მომზადებისა და ჩატარების ისტორია.

ს. მ. შტემენკო მკაფიოდ ახასიათებს გენერალური შტაბის ხელმძღვანელებს — ბ. მ. შაპოშნიკოვს, ა. მ. ვასილევსკის, ა. ი. ანტონოვს, ფრონტების სარდლებსა და შტაბების უფროსებს, აგრეთვე ბევრ სხვა გენერალსა და ოფიცერს, რომლებთანაც იგი ომმა შეახვედრა. იგი მოგვითხრობს თავის შეხვედრებზეც საბჭოთა პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებთან, მრეწველობის ხელმძღვანელებთან, იარაღის სახელგანთქმულ კონსტრუქტორებთან. მთლიანად წიგნი წარმოგვიდგენს საომარი მოქმედების ხელმძღვანელობისათვის საბჭოთა სახელმწიფოს აპარატისა და შეიარაღებული ძალების ვრცელი და მრავალმხრივი მუშაობის საერთო სურათს. ს. მ. შტემენკოს მოგონებანი უდაოდ ძვირფასი სამხედრო-ისტორიული წყაროა.

ა. ს. იაკოვლევის წიგნიც „ცხოვრების მიზანი"[1] მემუარულ ისტორიას განეკუთვნება, მაგრამ შინაარსით განსხვავდება ჩვენ მიერ გარჩეული ყველა შრომისაგან. გამორჩენილი ავიაკონსტრუქტორი, „იაკ" თვითმფრინავების მსოფლიოში ცნობილი ოჯახის შემქმნელი მოგვითხრობს თავის, როგორც ინჟინრის, მეცნიერის, საბჭოთა ავიამრეწველობის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ცხოვრებაზე. მის მოგონებათა თითქმის ნახევარი მიძღვნილია დიდი სამამულო ომისადმი და შეიცავს უამრავ დაკვირვებას, დასკვნებს, რომლებიც ეხება საბჭოთა ავიაციის მომზადებას და ომში მონაწილეობას. ეს საფუძველს გვაძლევს განვიხილოთ ა. ს. იაკოვლევის წიგნი სამხედრო მემუარების რიგში, ამასთან მხედველობაში გვაქვს გამოყოფთ მისი მხოლოდ ის თავები, რომელთა შინაარსი დაკავშირებულია ომთან.

აღსანიშნავია, რომ ა. ს. იაკოვლევის მემუარები, რომლებიც პირველად 1966 წელს გამოვიდა, უკვე მეორე გამოცემად გამოდის. პირველისაგან იგი განსხვავდება უკანასკნელ წლებში საბჭოთა ავიაციის განვითარების, ავტორის მეთაურობით მოქმედი საკონსტრუქტორო ბიუროს საქმიანობის, აგრეთვე ყველაზე გამოჩენილ საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეებთან, პარტიულ მუშაკებთან, მხედართუფროსებთან მისი ერთობლივი მუშაობისა და შეხვედრების უფრო ფართოდ ჩვენებით. და ყოველივე ეს ემატება ძირითად დებულებებს, რომლებიც საინტერესო წიგნის პირველ გამოცემაში იყო.

„ცხოვრების მიზანი" თვალნათლივ გვიჩვენებს საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებით შეიარაღების მდგომარეობას დიდი სამამულო ომის წინ და გვაძლევს იმის მკაფიო ახსნას, თუ რა მიზეზებით ჩამორჩენოდა ჩვენი ავიაცია გერმანელებისას 1941 წელს. ა. ს. იაკოვლევი დამაჯერებლად გვიჩვენებს, რა უდიდეს ღონისძიებებს იღებდნენ კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, ავიამრეწველობის ხელმძღვანელები და მშრომელები იმისათვის, რომ შეექმნათ სამხედრო თვითმფრინავმშენებლობის მტკიცე ბაზა და აღეჭურვათ საბჭოთა არმია თანამედროვე თვითმფრინავებით — ავიაგამანადგურებლებით, მოიერიშეებითა და ბომბდამშენებით. ბევრი, ძალიან ბევრი რამ გაკეთდა ამ მიმართულებით, მაგრამ საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ მოხერხდა, და ომის დასაწყისისათვის საერთოდ ჩვენი საავიაციო ტექნიკა გერმანულთან შედარებით მოძველებული აღმოჩნდა.

ანალიზს უკეთებს რა ამ მდგომარეობის მიზეზებს, ა. ს. იაკოვლევი ხაზგასმით აღნიშნავს საავიაციო ტექნიკის განვითარების ნახტომისებურობას. 30-იანი წლების შუახანებში საბჭოთა სამხედრო ავიაცია თავისი მაჩვენებლებით ერთ-ერთი პირველი იყო მსოფლიოში, და რეკორდების განუწყვეტელმა წყებამ ჩვენი ავიამრეწველობის ხელმძღვანელთა ერთგვარი თვითდამშვიდება გამოიწვია. უკვე 1938 წლისათვის გერმანელებმა გაგვისწრეს, შექმნეს რა მოდერნიზებული ავიაგამანადგურებელი „მესერშმატ" მე-109-ე და ბომბდამშენი „იუნკერს-88". ესპანეთში ომმა

---

1 ა. იაკოვლევი. ცხოვრების მიზანი (ავიაკონსტრუქტორის ჩანაწერები). გამოცემა მე-2, შევსებული. მ., პოლიტგამომცემლობა, 1968, 624 გვ.

ცხადყო ჩვენი ავიაციის ჩამორჩენა. და ამ ომის გამოცდილების გავლენით გაჩაღდა მჩქეფარე მუშაობა. ეს იყო ახალი აღმავლობის პერიოდი, როცა პარტია და მთავრობა ამზადებდნენ მთელი ჩვენი ავიაციის ხელახლა შეიარაღებას უახლესი ტიპების თვითმფრინავებით. მაგრამ 1941 წელს ამ თვითმფრინავებმა ის იყო მხოლოდ დაიწყეს მწყობრში შესვლა და, ფაშისტთა ავიაციის პირველი დარტყმები თავს დაატყდა ძირითადად ჩვენს მოძველებულ „ი-15" და „ი-16" ავიაგამანადგურებლებს, „სბ" საშუალო ბომბდამშენებს, „ტბ-3" ზედმეტად უხეშ და ნელი სვლის მძიმე ბომბდამშენებს. საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალებმა დიდი დანაკლისი განიცადეს, გერმანელთა ავიაციამ ჰაერში ბატონობა მოიპოვა.

მაგრამ უკვე 1942-1943 წლებში ფაშისტთა ავიაცია ჩამორჩენის გზაზე დამდგარის მდგომარეობაში აღმოჩნდა. ჩვენი საავიაციო მრეწველობა სწრაფად ზრდადა თავის სიმძლავრეებს და მასობრივი მასშტაბით დაიწყო ფრონტზე „ლაგგ", „მიგ" და „იაკ" ავიაგამანადგურებლების, უბადლო „საჰაერო ტანკის" — „ილ-2" მოიერიშის და სხვ. გზავნა, გერმანელთა ავიაცია კი ძირითადად განვითარების ომამდელ დონეზე რჩებოდა და 1943 წლის დამლევისათვის არა მარტო თავისი ტექნიკური უპირატესობანი დაკარგა, არამედ რაოდენობრივი უპირატესობაც. ჰაერში ბატონობა გადმოვიდა საბჭოთა სამხეო-საჰაერო ძალების ხელში, რომლებიც მტკიცედ ინარჩუნებდნენ მას ომის დამთავრებამდე. ამასთან ავტორი გვიჩვენებს, თუ რა უდიდეს ყურადღებას უთმობდნენ საბჭოთა ავიამრეწველობის განვითარებას პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა. იხსენებს რა თავის შეხვედრებს ი. ბ. სტალინთან, ა. ს. იაკოვლევი აღნიშნავს, რომ მისი მითითებები და შენიშვნები ცხადყოფდა ღრმა ინფორმირებულობას საავიაციო ტექნიკის დარგში, ეხმარებოდა სპეციალისტ-კონსტრუქტორებს იმაში, რომ მიეგნოთ მეცნიერულ-ტექნიკურ პრობლემათა ახალი გადაწყვეტილებათა.

საინტერესოდ მოგვითხრობს ა. ს. იაკოვლევი თავისებურ შეჯიბრებაზე გერმანელ და საბჭოთა ავიაკონსტრუქტორებს შორის, იმაზე, თუ როგორ უპასუხებდნენ „მესერშმიტის" ყოველ მოდიფიკაციას ავიაგამანადგურებლების ჩვენი შემოქმედნი, და მათ შორის წიგნის ავტორი, ახალი გაუმჯობესებებით, რომლებიც უზრუნველყოფდა თვითმფრინავების სიჩქარის, ჭერის, მანევრულობის შემდგომ ამაღლებას. და ყოველივე ეს მიღწეულ იქნა იმ უძნელეს პირობებში, როცა ხდებოდა ბევრი საავიაციო ქარხნის ევაკუაცია აღმოსავლეთისაკენ, მათი გაშლა ზოგჯერ შიშველ ადგილას, ნედლეულით, ელექტროენერგიით, სათბობით მომარაგების სიძნელეებისას! წიგნის მკითხველი განიმსჭვალება ღრმა პატივისცემით ჩვენი შესანიშნავი ძუშაკთა კლასისადმი, სიამაყით მისი შრომითი გმირობის გამო. რად ღირს თუნდაც ასეთი ციფრები: საბჭოთა ავიამრეწველობამ 1941 წელს აწარმოვა 15735 თვითმფრინავი, მძიმე 1942 წელს, საავიაციო საწარმოთა ევაკუაციის პირობებში, გამოშვებულ იქნა 25436 თვითმფრინავი, 1943 წელს — 34900, 1944 წელს — 40300 და 1945 წლის პირველ ნახევარში — 20900 თვითმფრინავი (გვ. 443). და ამასთან საბრძოლო მანქანების ხარისხი, მათი ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემები, მათი შეიარაღების სიმძლავრე განუწყვეტლივ იზრდებოდა. წიგნის ავტორი სამართლიანად უწოდებს ამას ავიამრეწველობის მუშაკთა გმირობას და დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ ამ საგმირო საქმის შესრულება მოხერხდა თვითმფრინავმშენებლობის განვითარებისათვის პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის მეოხებით, შესანიშნავი ინტელიგენტ-ტექნიკური კადრების მეოხებით, მთელი ძალებისა და საშუალებების მობილიზაციისა და უნარიანად გამოყენების მეოხებით.

განხილული წიგნების შინაგანი ერთიანობის ღერძს წარმოადგენს ის, რომ ისინი გვიჩვენებენ საბჭოთა ადამიანების პატრიოტიზმს, მათს ერთგულებას მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი, მათს მტკიცე რწმენას, რომ საბჭოთა ხალხის ძალები უშრეტია, რომ სოციალისტური სახელმწიფო შეურყეველად მტკიცეა, რომ კომუნისტური პარტიის პოლიტიკა სწორია. ამთავრებს რა თავის მოგონებებს და აჯამებს განვლილი ომის შედეგებს, კ. კ. როკოსოვსკი ამბობს: „სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, რომელიც დაიწყო ჩვენი ქვეყნისათვის მეტად არახელსაყრელ პირობებში, მთელი სიდიადით იჩინა თავი საბჭოთა ხალხის ურყევმა ერთიანობამ, ჩვენი ადამიანების უსაზღვრო სიყვარულმა თავიანთი სამშობლოსადმი, მათმა ერთგულებამ ლენინური იდეებისადმი. ხალხს კომუნისტური პარტიის პოლიტიკა ეხმოდა და მიაჩნდა თავის საკუთარ პოლიტიკად და ბოლომდე უჭერდა მას მხარს"[1]. ეს სიტყვები შეიძლებოდა ეპიგრაფად წამძღვარებოდა ჩვენს მიმოხილვას.

მართლაც, სარეცენზიო წიგნებთან გაცნობა განუმტკიცებს მკითხველს აზრს ჩვენი სამშობლოს სიდიადის შესახებ, კომუნისტური პარტიის სიბრძნის შესახებ, რომელმაც, როგორც თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ მოხსენებაში, მთელი თავისი ორგანიზაციული გენია, სსრ კავშირის ხალხთა მძლავრი თანამეგობრობის

---

1 კ. კ. როკოსოვსკი. ჯარისკაცული ვალი, გვ. 378.

მთელი ძალა, წლობით დაგროვებული მთელი სახალხო ენერგია, სიმტკიცე, ამტანობა და ძლიერი ნებისყოფა ომის დროს წარმართა ერთი მიზნისაკენ — ფაშიზმის განადგურებისაკენ.[1] განვლილ ომში პარტია იყო საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების ნამდვილი კოლექტიური ბელადი, ორგანიზატორი და მხედართმთავარი, და მისი როლი ავტორების მიერ კარგად არის ნაჩვენები. ეს სრულებითაც არ ხდის საეჭვოს პირადი სამხედრო ხელმძღვანელობის ფაქტორის მნიშვნელობას. პირიქით, განსახილველი წიგნები გვარწმუნებენ იმაში, თუ რა დიდ როლს ასრულებდა გამარჯვების მოპოვებაში მხედართმთავრების ცოდნა, ნიჭი და ნებისყოფა. მაგრამ ისინი ყველანი — სახელგანთქმული საბჭოთა მარშლები და გენერლები — ხომ პარტიის შვილები და აღზრდილები, მისი ორგანული ნაწილი იყვნენ. და პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი ომს ხელმძღვანელობდნენ როგორც სამხედრო სარდლობის მეშვეობით, ისე უშუალოდ პოლიტორგანოებისა და პოლიტაპარატის მეშვეობით და საბოლოო ანგარიშით მეომარ კომუნისტთა მრავალმილიონიანი მასის, საბჭოთა შეიარაღებული ძალების ამ ნამდვილი მებრძოლი ბირთვის მეშვეობით.

სარეცენზიო წიგნების ავტორები, საომარ ოპერაციებს რომ აგვიწერენ, ლაპარაკობენ არმიაში პარტიული ხელმძღვანელობის მნიშვნელობაზე. სამხედრო საბჭოების, პოლიტორგანოებისა და პარტიული ორგანიზაციების როლზე. მიუხედავად ამისა ეს საკითხი, ჩვენი აზრით, უფრო ღრმა გაშუქებას მოითხოვს; საჭიროა უფრო სრულად გაშუქდეს პოლიტორგანოების მუშაობის არსი. ყველგან, სადაც კი განსაკუთრებული სიძნელე იყო, სადაც საჭირო იყო პირადი მაგალითი, სადაც საჭირო იყო მეომრების გამხნევება და გმირობისათვის აღფრთოვანება, მოვლენების შუაგულში სარდლებისა და მეთაურების გვერდით ხომ ყოველთვის იმყოფებოდნენ ფრონტებისა და არმიების სამხედრო საბჭოების წევრები, პოლიტორგანოების უფროსები, ნაწილთა და ქვედანაყოფთა მეთაურების მოადგილეები პოლიტნაწილში. ეყრდნობოდნენ რა პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, კომუნისტებსა და კომკავშირელებს, პოლიტმუშაკები რაზმავდნენ და საგმირო საქმეებისათვის მიუძღოდნენ პოლკებსა და დივიზიებს. როგორც ცემენტი ერთიანობად ადუღაბებს ბეტონის მასას, ისე პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა მონოლითურს ხდიდა საბჭოთა არმიის საბრძოლო სულისკვეთებას, უზრუნველყოფდა ჯარების იმ მორალურ ფაქტორს, ურომლისოდაც არ არის და არც შეიძლება მიღწეულ იქნას მტერზე გამარჯვება.

წიგნებში შთამბეჭდავად ასახულია საბჭოთა მეომრების მასობრივი გმირობა. ამ წიგნებში ვკოულობთ ჯარისკაცებისა და ოფიცრების, მთელი ნაწილებისა და შენაერთების სიმტკიცის, მამაცობისა და მხედრული უნარის მაგალითებს ომის პირველ თვეებში, ჩვენი არმიის უკანდახევისა და წარუმატებლობათა მძიმე ვითარებაში, თავდაცვასა და შეტევაში კვკასიის, იმიერპოლარეთის ირთულ პირობებში, მოსკოვთან, სტალინგრადთან და ბელორუსიის ტყეებში მტრის განადგურებისას, ფაშიზმის უკანასკნელ ციტადელზე — ბერლინზე სწრაფი შეტევისას. ეს მაგალითები თავიანთ ერთობლიობაში დამაჯერებლად გვიჩვენებენ, ზზრდის რა ძნელი და სახელოვანი გზა განვლო საბჭოთა არმიამ, მთელმა მისმა პირადმა შემადგენლობამ, როგორ იზრდებოდა ჯარისკაცთა, ოფიცერთა და გენერალთა საბრძოლო ოსტატობა, როგორ სრულყოფილი ხდებოდა მათი იარაღი და რა მრისხანე ძალა გახდენ ყველა გვარეობის ჯარების ჩვენი შენაერთები და ნაწილები ომის დასასრულისათვის! ამას ადასტურებს სამხედრო ტექნიკის განუწყვეტლივ გაუმჯობესების, საბჭოთა ვითომფრინავების, ტანკების, არტილერიის, საინჟინრო საშუალებების სრულყოფის მაგალითებიც.

ექვსივე წიგნის საერთო ნიშანია მოწინააღმდეგის — გერმანელ ფაშისტთა არმიის ფხიზელი შეფასება. ეს ძლიერი, გამოცდილი, დისციპლინიანი და მეტად საშიში მოწინააღმდეგე იყო. ასეთი მტრის ძლევა ოლი საქმე როდი იყო, და მით უფრო საპატიოა მასზე გამარჯვება.

საბჭოთა არმიის ძალებისა და ოსტატობის ზრდას ჯარების მართვის მზარდი ხელოვნებაც შეესაბამებოდა. ფრონტების ყოფილი სარდლების — კ. კ. როკოსოვსკის, ი. ს. კონევისა და კ. ა. მერეცკოვის მოგონებანი, ა. ა. გრეჩკოსა და ს. მ. შტემენკოს წიგნები თვალსაჩინო წარმოდგენას გვაძლევენ ამაზე. ჩვენ იქ ვპოულობთ იმის მაგალითებს, თუ როგორ წარმოიშობოდა უმნიშვნელოვანესი ოპერაციების ჩანაფიქრი, როგორ მუშავდებოდა მათი გეგმები, რა რთული და მრავალმხრივი იყო შტაბების, ზურგის დაწესებულებების, მართვის ყველა ორგანოს მუშაობა ოპერაციების მომზადებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის.

სარეცენზიო წიგნები შუქს ფენენ იმას, თუ რა „ხელწერა" ჰქონდა სტრატეგიული და ოპერატიული ხელმძღვანელობის საბჭოთა სკოლას, რომელმაც აჯობა გერმანიის ნაქებ გენერალურ შტაბს. XIX საუკუნის ბოლოს, მოლტკეუფროსის დროს, გერმანიის გენერალური შტაბის ოფიცრებს და-

---

1 იხ. ლ. ი. ბრეჟნევი. საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვება. მ., პოლიტგამომცემლობა, 1965, გვ. 16".

სავლეთის ლიტერატურაში პირფერულად შეარქვეს „ნახევრადმერთები". ჰიტლერის გენშტაბელები, როგორც წესი, ექსპლოატატორული კლასებიდან გამოსულნი, კაიზერის გენერალური შტაბის პირდაპირი მემკვიდრენი და მისი ტრადიციების განმგრძობნი იყვნენ. ისინი ყოყოჩობდნენ თავიანთი „კულტურით", სამხედრო ცოდნით, მოწინააღმდეგეზე თავიანთი უპირატესობით. მაგრამ ომის მკაცრი გამოცდა მათ ვერ ჩააბარეს: სასტიკ ორთაბრძოლაში გაიმარჯვეს ახალგაზრდა სოციალისტური არმიის გენერლებმა და ოფიცრებმა, მუშებიდან და გლეხებიდან გამოსულმა, კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილმა წითელმა გენშტაბელებმა. განა ეს ისტორიის საგულისხმო გაკვეთილი არ არის!

განსახილველ წიგნებში ჩვენ ვპოულობთ ბევრ საინტერესო აზრს მეთაურთა მომზადებასა და აღზრდაზე, უფროსთა და ხელქვეითთა ურთიერთდამოკიდებულებაზე. ამასთან დაკავშირებით დიდი ყურადღების ღირსია კ. კ. როკოსოვსკის მიერ გამოთქმული აზრები. ომში ამხანაგობის უდიდეს მნიშვნელობაზე რომ ლაპარაკობს, იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ყოველი უფროსის აუცილებელი ღირსებაა მისი სიმტკიცე, სიმშვიდე და ხელქვეითებისადმი პატივისცემა"[1]. იგი მოითხოვს „თვითეულის მოქმედების სამართლიან შეფასებას", იძლევა რჩევას „განუფუთაროთ თვითეულს თვითმყოფობის უნარი, სიმტკიცე და გამბედაობა" და მიდის იმ დასკვნამდე, რომ „თუ გინდათ შეაფასოთ ოფიცერი, ყური" დაუგდეთ, რას ამბობს იგი თავის ხელქვეითებზე. მეთაურის ნამდვილი ხასიათი აუცილებლად შეიცავს იმის უნარს, რომ მკაფიოდ ასახოს ამხანაგების წვლილი მტერთან ძნელი ბრძოლის საერთო საქმეში"[2].

ანალოგიურ აზრებს გამოთქვამს ი. ს. კონევიც. მარშალი განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს პოლკის მეთაურის როლს, უწოდებს მას „ძირითად ფიგურას არმიაში როგორც მშვიდობიანობის, ისე ომის დროს, ბრძოლის ძირითად ორგანიზატორს". მეთაურის მთავარ ღირსებად მას მიაჩნია იმის უნარი, რომ შეაკავშიროს ხელქვეითთა კოლექტივი, დაამყაროს სრული ნდობა და ურთიერთგაგება მათსა და უფროსს შორის. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ხელქვეითთან უფროსის მოპყრობის სტილს: „რაოდენ დიდმნიშვნელოვანია, როცა, ხელქვეითს ზოგჯერ მძიმე ტვირთს რომ აკისრებ, ელაპარაკები მას არა ბრძანების ენით, არამედ ნდობის კილოზე ადამიანურად"[1] თვითონ შესანიშნავი მამაცობით რომ განირჩევა, ი. ს. კონევი პატივს სცემს დაფასებს ამ თვისებას თავის ხელქვეითებშიც. მაგრამ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განუსჯელი სიმამაცე მავნეა: „როცა მეთაურის მთელი ღირსება მხოლოდ იმით განისაზღვრება, რომ იგი მზად არის სადაც გნებავთ შეიჭრეს და სადაც გნებავთ გამოიჩინოს სიმამაცე, ხოლო ამასთან არც ხელქვეითების მართვის უნარი აქვს და არც ბრძოლის ჭეროვნად ხელმძღვანელობისა, ეს უბედურებაა. მაგრამ გამოგიტყდებით, თუ განთალებულ, თავისი საქმის ჩინებულად მცოდნე მეთაურს აუცილებლად უნდა საკუთარი თვალით ნახოს ბრძოლის გარემოებანი, თვითონ შეაფასოს იმის დაწესრულებითი მომდინარეობა, რაც ხდება, და ამის გულისათვის, საქმის ინტერესებისათვის, მზად არის თუნდაც ქარხნის მილზე აცოცდეს,—ასეთი მეთაურებისადმი პატივისცემით ვარ გამსჭვალული"[2].

ასევე მზრუნველობით გამოთქვამენ აზრს მეთაურებზე, მათს აღზრდასა და მართვის სწორი მეთოდების მათთვის ჩანერგვაზე ა. ა. გრეჩკო და კ. ა. მერეცკოვი.

ბუნებრივია, დიდი მეთაურების მიერ, იმ პირების მიერ დაწერილი წიგნები, რომლებსაც თვალსაჩინო პოსტები ეჭირათ სამხედრო ხელმძღვანელობის სისტემაში, ხშირად ეხება უმაღლესი სარდლობის საკითხს, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის, მთავარსარდლისა და პირადად თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის და უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის მუშაობის საკითხს. მაგალითად, ა. ა. გრეჩ-

---

1 კ. კ. როკოსოვსკი. ჯარისკაცული ვალი, გვ. 91.

2 იქვე, გვ. 32.

1 ი. ს. კონევი. ორმოცდამეხუთე, გვ. 271, 43, 45, 46-47.

2 იქვე, გვ. 130-131.

ჩოს წიგნში ცბტირებულია მთავარსარდლის ათობით მითითება და დირექტივა, მათ შორის ზოგიერთი ისეთი, რომლებიც წინათ არ გამოქვეყნებულა; უმაღლესი მთავარსარდლის დირექტივებისა და მასთან მრავალი პირადი და ტელეფონით საუბრის გადმოცემას ვპოულობთ კ. კ. როკოსოვსკის, ი. ს. კონევის, კ. ა. მერეცკოვისა და ა. ს. იაკოვლევის წიგნებში. ს. მ. შტემენკო მის მიერ არჩეული თვით თემის გამო დაწერილებით მოგვითხრობს თავის მოსსენებებზე უმაღლესი მთავარსარდლისადმი, მის გადაწყვეტილებებსა და მითითებებზე. ერთობლივად განხილული ეს წიგნები შესაძლებლობას გვაძლევენ აღვადგინოთ მთავარსარდლის, როგორც ომის წლებში საბჭოთა შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელის პორტრეტის დამახასიათებელი ნიშნები. ამასთან ქვა ქვაზე აღარ რჩება უპასუხისმგებლო მტკიცებებისაგან იმის შესახებ, თითქოს იგი სამხედრო თვალსაზრისით არაკომპეტენტური იყო, თითქოს იგი ომს „გლობუსით" ხელმძღვანელობდა, თითქოს ამსოლუტურად ვერ ითმენდა სხვის აზრებს, და სხვა მსგავსი მონაჭორებისაგან, რომლებიც ისტორიის ფალსიფიკატორებმა აიტაცეს და ავრცელებენ.

თავიანთ მემუარებში ფრონტების სარდლები, გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე მოგვითხრობენ, რომ უმაღლესი მთავარსარდალი აუურად იღებდა ხელქვეითთა აზრებს და ანგარიშს უწევდა მათ, როცა ეს აზრები დარწმუნებულად და დასაბუთებულად გამოითქმოდა, რომ მას ჰქონდა ფართო სტრატეგიული ჰორიზონტი, უნარი შესწევდა გამოეცნო ის, რაც ვითარებაში ძირითადი, გადამწყვეტი იყო, და მკაფიოდ განესაზღვრა ჯარების მოქმედების მიზანი და მთავარი მიმართულება. ერთი სიტყვით, საბჭოთა მხედართმთავრების მოგონებათა ფურცლებიდან ი. ბ. სტალინი მისი ხასიათის მთელი სირთულისა და წინააღმდეგობრიობის მიუხედავად წარმოგვიდგება როგორც გამოჩენილი სამხედრო ხელმძღვანელი.

უმძიმესი ომი, რომელიც კი ოდესმე გადაუტანიათ ჩვენი ქვეყნის ხალხებს, რომელიც განსაკუთრებით არახელსაყრელ პირობებში დაიწყო, რომელმაც საბჭოთა ადამიანების უდიდესი მსხვერპლი შეიწირა, სოციალისტური სახელმწიფოს სრული გამარჯვებით დამთავრდა. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ ვ. ი. ლენინის წინასწარმეტყველური სიტყვები: „ვერასოდეს ვერ დაამარცხებენ იმ ხალხს, რომლის მუშათა და გლეხთა უმრავლესობამ გაიგო, აგრძნო და დაინახა, რომ ისინი იცავენ თავიანთ, საბჭოთა ხელისუფლებას — მშრომელთა ხელისუფლებას, რომ იცავენ იმ საქმეს, რომლის გამარჯვება მათთვის და მათი შვილებისათვის უზრუნველყოფს კულტურის მთელი სიკეთით, ადამიანის შრომის ყველა ქმნილებით სარგებლობის შესაძლებლობას" (იხ. ზ. ლენინი, ტ. 29, გვ. 370).

ამ მიმოხილვით ჩვენ სრულებითაც არ ამოგვიწურავს განხილული შრომების მთელი შინაარსი და ალბათ სრული შეფასება არ მიგვიცია მათთვის. თუ